უწმინდესი პატრიარქის კირილეს მისალმება ფესტივალის – „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“ – მონაწილეებს

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ, საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის საქველმოქმედო V ფესტივალის „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“-ს მონაწილეებს მისალმება გაუგზავნა.

საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის საქველმოქმედო V ფესტივალის „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“-ს ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს

ძვირფასო ძმებო და დებო!

გულითადად მივესალმები თითოეულ თქვენგანს, ამჟამად აქ შეკრებილს საერთაშორისო ქრისტიანული კულტურის საქველმოქმედო V ფესტივალში – „რუსეთი – საბერძნეთი. ერთად საუკუნეების სიღრმეში“ – მონაწილეობის მისაღებად.

ეს შეხვედრა, რომელიც მიმდინარეობს აღდგომის დიდებული ტაძრის კედლებთან – რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების მთავარ ტაძართან მოსკოვთან მიმდებარე პარკ „პატრიოტში“, ეძღვნება ბერძენი ერის განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყების 200 წლისთავს, ასევე ადმირალ თეოდორე უშაკოვის წმინდანთა დასში შერაცხვის 20 წლისთავს.

ჩვენი ქვეყნების ისტორიული ბედი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. წმინდა თეოდორე უშაკოვი რუსეთის ფლოტის ესკადრის სათავეში მონაწილეობდა იონიის კუნძულების უცხოური ოკუპაციისგან გათავისუფლებაში, ხოლო ცოტა მოგვიანებით რუსი ჯარისკაცები ეხმარებოდნენ თავიანთ ბერძენ ძმებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში.

დაცემული გმირების, მათი თავგანწირვის ხსოვნა წმინდაა რუსეთისა და საბერძნეთის მოქალაქეებისთვის. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უცვლელად უჭერს მხარს ამ ხსოვნის შენარჩუნებას, შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყნებსა და ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობების განმტკიცების საქმეში, რომლებიც დაკავშირებულები არიან საერთო ქრისტიანული რწმენითა და სულიერად ახლო კულტურით. დავიცვათ მაღალი სახარებისეული იდეალების ერთგულება, არ დავივიწყოთ წინაპართა აღთქმები, რომლებმაც ბევრი იღვაწეს ერთობლივ ბრძოლაში ბერძენი ხალხის თავისუფლებისთვის – ჩვენი მოწოდება და ვალია ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე.

ვიმედოვნებ, რომ ფესტივალი შეეწევა ჩვენი თანამედროვეების ძმურ ურთიერთობებს, მისცემს მათ შესაძლებლობას ახლოს გაეცნონ რუსული და ბერძნული კულტურის მდიდარ მემკვიდრეობას.

გისურვებთ ძალის სიმტკიცეს, ღვთის უხვ შეწევნას და კურთხეულ წარმატებას ყველა კეთილ საქმესა და წამოწყებაში.

+კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87897/